გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



პელაგია სიმონის ასული, იულია ივანეს ასული, დავით და სიმონ ილარიონის ძენი, მაკრინე ილარიონის ასული ფორაქაშვილები, ნინო ილარიონის ასული რატიშვილისა და მარიამ ილარიონის ასული ქართველიშვილისა, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ გარდაცვალებულის იოსებ ილარიონის ძის ფორაქაშვილის ორმოცის წირვა და პანაშვიდი იქმნება გარდახდილი ოთხშაბათს, ამ თთვის 17, ავლაბარში წმ. მარინეს ეკკლესიაში, დილის ათ საათზე.


ამ ნომერთან ეგზავნებათ „ივერიის" ხელ-მომწერლებს, რომლებიც ტფილისში სცხოვრობენ, ქალაქ ტფილისის ამომრჩეველთა სია 1893—1897 წ.


## საკომერციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.
სააგენტო იმყოფება ველიამინის ქუჩაზედ, № 7. ღიაა 9—2 საათამდე.

(50—1) აგენტი დ. ქ. თუთაევი


## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 თებერვლიდამ წლის დამლევამდე, ფასი 9 მან. 50 კ. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

ტფილისი, 14 თებერვალი

რუსულს მწერლობაში ერთი ახირებული აზრია გავრცელებული: ჩვენს სახელმწიფოში ესა და ეს სახელმწიფო კაცი-კი არ არის გამგე ფინანსებისა, არამედ პურის მოსავალიო. თუ მოსავალი კარგი მოგვივიდა, ჩვენი საქმე კარგად მიდის, ფული ბევრი გვაქვს, ხელგაშლით და უზრუნველად ვცხოვრობთ, რადგან ყველა სახელმწიფო საჭიროებას ადვილად ვუძღვებით და დეფიციტის მაგიერ შავის დღისთვისაც ცოტა რასმეს ვანარჩუნებთო. ხოლო თუ გაწყრა ღმერთი და მოსავალმა გვიმტყუნა, მაშინ ვერც ბუნგე, ვერც ვიშნეგრადსკი და ვერც ვიტტე საქმეს ველარ ჰშველიან და ხარჯი ბევრად სჭარბობს შემოსავალსაო.

რა თქმა უნდა, რუსეთის ცხოვრებაში პურის მოსავალს დიდი მნიშვნელობა აქვს; მაგრამ ნაკლები მნიშვნელობა არც იმ წესსა და რიგსა აქვს რუსეთის ერისათვის, რომელსაც ამოირჩევს ფინანსთა მინისტრი სახელმწიფო შემოსავლის გასაძლიერებლად. 1888—1890 წლებში კარგი მოსავალი იყო, ხარჯს გარდა ორას-სამას მილიონამდე დარჩა ძირს. მაგრამ გადარჩენილ ფულის თითქმის ნახევარი 1891 წლის მოუსავლობამ ჩანთქა, ხოლო მეორე ნახევარს, უეჭველია, 1892 წ. მოუსავლიანობა მოინელებს და ხაზინა ხელახლა გაჭირვებაში ჩავარდება. აქედან ცხადად სჩანს, რომ ფინანსთა მინისტრის უნარსა და იმ წესსა და რიგს, რომელსაც დაადგება გამგე ფინანსებისა შემოსავლის გასაძლიერებლად, უპირველესი მნიშვნელობა ეძლევა. მარტო მოსავალს რომ შეჰყურობდეს, სახელმწიფო ხეირს ვერა ჰნახავს. ან-კი როგორ უნდა შეაჩერდეს მოსავალს, როდესაც ნიადაგი გამოიფიტა, გამოშრა, ტყეები გაიჩეხა, ველ-მინდვრები გავერანდა, ხვნა-თესვა ისეთივეა, როგორც ამ ასის წლის წინად ყოფილა. ხალხია კიდევ და გაუნათლებელი განუვითარებელი. ამ მდგომარეობაში მარტო პურის მოსავალს რომ მიაჩერდეს ერი, წყალი მოვა და წაიღებს; განვითარების მაგიერ ერთი-ათად უკან დაიხევს, ვიდრე ეხლაა. საჭიროა, სახელმწიფომ თვისი საფინანსო კეთილ-დღეობა სათუო ბედის ანაბარად არ დასტოვოს და მოსძებნოს ნამდვილი, დაუშრეტელი წყარო შემოსავლისა.

ასეთ წყაროდ ცნობილია ერის ხარჯთ-გაცემის უნარის გაძლიერება, მის საეკონომიო ძალ-ღონის განვითარება, გაფართოება და მკვიდრეთით აღდგენა. ამისათვის საჭიროა, სრულიად სხვა გზას დაადგეს ფინანსთა სამინისტრო, ვიდრე აქამდე ადგა. წინანდელი მინისტრი ი. ა. ვიშნეგრადსკი, ოთხის წლის მინისტრობაში, მარტო ხარჯს უმატებდა. საცა გადასახადი მაური იყო, ერთი-ორად აქცია და ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ შემოსავალმა იკლო, თუმცა გადასახადი გაორკეცდა, რადგან ხალხი ნივთიერად მოუძლურდა და, თუ არა მაქვს-რა, სახელმწიფოს რაღას მივცემ, თუნდა ერთი მანეთი მედოს ხარჯად, თუნდა ათი. თვით ბ-ნი ვიშნეგრადსკი, როდესაც სამსახურს თავი დაანება ავადმყოფობის გამო, გამოტყდა, რომ ამაზედ მეტად აღარ შეიძლება ხარჯის მომატება, შეიძლება სამწუხარო შედეგი მოჰყვეს უზომო გადასახადის კვალად მომატებასაო.

ესეც უნდა ვსთქვათ, რომ შემოსავლის გასაძლიერებლად ყველაზე ადვილი, გაკვლეული და ნაცადი გზა ხარჯის მომეტებაა, მაგრამ ფულის გამღები როგორ და საიდან გაიღებს მეტს, თუ იმის ჯიბესა და ქონებასაც არ მოემატა? ქონების გაძლიერება კიდევ მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ძირეულად შეიცვლება ხარჯის გამღების მდგომარეობა, გავრცელდება საერო და სამეურნეო განათლება, დაიმართება გზები, ჩამოვარდება სამართლიანი წეს-წყობილება ადგილობრივ მართვა-გამგეობაში და სხვა. ყოველივე ესე აქამდე მივიწყებული იყო; მარტო ხარჯს ემატებოდა, სხვა-და-სხვა წყაროს-კი ერის გაღონიერებისას ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ამისთვისაც ამ წესმა თავისი სამწუხარო ნაყოფი მოიტანა. მეურნეობა მიწასთან გასწორდა, რადგან მისი ბედი მზისა და ავდრის ამარად იყო მიშვებული, და მეურნეობასთან ერთად ხალხსაც ღონე გამოელია. რუსული ჟურნალ-გაზეთები სავსეა სამწუხარო ამბებით, რომ საერობო კასსებში გროში ფული აღარა გვაქვს, არ ვიცით, რითი გავუძღვეთ ადგილობრივ საჭიროებას, საიდან მივცეთ ჯამაგირი მასწავლებელს, ექიმს და სხვა. ამის გამო ემუდარებიან სახელმწიფოს, დაგვეხმარე და სესხად მოგვეცი ფული სულის მოსაბრუნებლადაო. თითო-ოროლა ერობას საქმე ისე გაუჭირდა, რომ სკოლების გაუქმებას აპირებს, თუ ხაზინამ ხელი არ გაუმართა ფულით. სწავლა ისედაც მცირედაა გავრცელებული რუსეთში და სკოლების გაუქმება ხომ უფრო უკან დასწევს ამ მხრივ *)

გულ-მტკივნეულნი მამულის შვილნი სამართლიანად ჰფიქრობდნენ, რომ ვიშნეგრადსკის შემდეგ ფინანსთა სამინისტრო ახალ-გზას დაადგება და გვერდს აუქცევს ძველს, რომელმაც ასეთს ცუდს მდგომარეობაში ჩააყენა რუსეთის ერიო, მაგრამ სამწუხაროდ ეს საქმე ისე ადვილი არ აღმოჩნდა, როგორც ზოგს ჰგონია. ახალი ფინანსთა მინისტრი ს. ი. ვიტტეც, ფინანსთა განსაკარგებლად ისევ ძველს იარაღს ჰხმარობს—ხარჯის მომატებას, მაგრამ, როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, ეკონომიურად მოუძლურებული ერი ახალს გადასახადს ვერ აიტანს და გაწერილი ხარჯი მარტო ვალად დაედება. თვით სამინისტრო დარწმუნებულია, რომ შიმშილობით დაზარალებული ხალხი ხარჯს სრულად ვერ შემოიტანს და წრევანდელ ხარჯთ-აღრიცხვაში საკომლო მამულის დასახსნელი ფული ოცის მილიონით ნაკლებია ნავარაუდევი. უეჭველია, რა-კი რუსეთის ერს ძველის ხარკისთვის ვერ გაუცია პასუხი, ახალს ხომ სულ ველარ შეიტანს. ცხადია, სხვა გზა უნდა იქმნას გაკვლეული.

ასეთს გარემოებაში უპირველესი ყურადღება იმას უნდა მიექცეს, რომ ხალხი წელში გაიმართოს, ნივთიერი ძალ-ღონე მოიცეს და მერმე დიდს ხარკსაც ადვილად აიტანს, როგორც ადვილად იტანენ დიდს გარდასახადს საფრანგეთსა და გერმანიაში. ამისათვის საჭიროა, რომ ხვნა-თესვა, რაც შეიძლება, მალე გამოვიდეს იმ პირვანდელ მდგომარეობიდან, რომელშიაც იმყოფება ეხლა.

რუსეთში დიდი შიმშილობა იყო 1833 წელს. მცოდნე კაცნი მაშინაც ამბობენ, რუსეთი დაიღუპება, თუ მიწის შემუშავებას არა უშველა-რაო, მას აქედ სამოცმა წელმა განვლო. მიწის შემუშავება ეხლა ისეთია, როგორც მაშინ იყო, და მოსავალიც თანდათან კლებულობს.

ასეთი უნუგეშო მდგომარეობა დიდად აღონებს რუსეთის ერის შეგნებულ ნაწილს, რომელიც გულ-წრფელად ურჩევს მთავრობას, მალე მიაქციე ჯეროვანი ყურადღება მეურნეობას, თორემ ცოტა ხნის შემდეგ გვიან-და იქნება და ერი დაიღუპებაო.

*) როგორცა სჩანს, ბ-ნ სტრანოლიუბსკის მოხსენებიდამ, ოსმალეთში უფრო მეტადაა გავრცელებული სწავლა-განათლება, ვიდრე რუსეთში.

ავტ.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

** რადგანაც 21 თებერვალს დაიწყება ტფილისში კავკასიის მკურნალთა კრება ხოლერასთან საბრძოლველად ღონისძიებათა გამოსარკვევად, ამიტომ დღევანდელ დღეს დანიშნული მორიგი კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა არ შესდგება.

** ბერლინში დაარსდა ერთი ამხანაგობა, რომელიც სხვა-და-სხვა პირობებით კისრულობს ჩიკაგოს გამოფენაზედ წაიყვანოს მსურველნი. ამ მოგზაურობისათვის 500—600 მანათს გადაახდევინებენ. ყოველგვარი ხარჯი გზისა და სასმელ-საჭმელი ამხანაგობისა იქნება.

** განზრახვა აქვთ, სთხოვონ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ თიბათვეში, როდესაც ვარშავაში გაიმართება ჩვეულებრივი იარმუკა, მოწვეულ იქმნენ მთელის იმპერიის ცხვრის პატრონები. ამ კრებაზედ განიხილება შემდეგი საგნები: 1) მატყლის გადატან-გადმოსატანი ფასი როგორ შეუმცირდეთ, 2) გააადვილდეს მატყლის სამხლვარ გარედ გატანა, 2) გაიმართოს სკოლები, სადაც ცხვრის მოვლას ასწავლიან, 4) სახელმწიფო ხარჯით აშენდეს სამაგალითო ფარეხები; 5) გააუმჯობესონ მატყლის ვაჭრობის წეს-რიგი; 6) გამოარკვიონ, როგორი მოვლა და საჭმელია საჭირო, რომ ცხვრის მატყლიც კარგი გამოვიდეს და ხორციც გემრიელი იყოს, და სხვ.

** ტფილისის მიხეილის სამკურნალოსთან არსებობს საფერშლო და სამრევლო სკოლები. როგორც შევიტყვეთ, ამ სკოლის მოწაფენი ამ დიდ მარხვაში ყოველ დღე სამკურნალოს ეკკლესიაში დაჰყავთ, სადაც ავადმყოფებიც დადიან. ადვილად შესაძლებელია, რომ ყმაწვილებს გადაედოს რომელიმე სენი. ამიტომ სასურველია ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას: ან ყმაწვილებს აეკრძალოთ ამ ეკკლესიაში სიარული, ან არა და თვით გადამდებ სენით ავადმყოფებს.

** ათბა და ხუნაგიც თან და თანა ძლიერდება. 14 თებერვალსაც რიყეზედ ხუნაგით გახდა ავად 12 წლის ქალი ბელოუსოვისა.

** დარუბანდი. 30 იანვარს აქაურმა სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლებმა გამართეს საყმაწვილო სალამო. რადგანაც ზემოხსენებულ სასწავლებელს შესაფერი შენობა არა აქვს, ამისათვის სალამო გამართულ იქმნა კლუბში.

შეგირდებმა წარმოადგინეს ერთმოქმედებიანი კომედია „პირველი აპრილი". გარდა ამისა წაიკითხეს სხვა-და-სხვა ლექსები, რამდენიმე იგავ-არაკი კრილოვისა, იმღერეს მალოროსიული სიმღერები და, დასასრულ, გაიმართა ცხოველი სურათები. სალამოზე მოწვეულ იყვნენ, როგორც სხვა-და-სხვა სასწავლებლისა, აგრეთვე სხვა ყმაწვილებიც. სასწავლებელმა თავის ხარჯით დაასაჩუქრა სუყველა ყმაწვილები ტკბილეულობით.

მოწაფეებმა კარგათ შეასრულეს თავ-თავიანთი როლები. ეს სალამო ძალიან მოეწონა საზოგადოებას, რომელმაც, ანტრაქტების დროს, ღარიბ „პაწია აქტიორთა" სასარგებლოდ ხელის მოწერა გამართა და ფული შეაგროვა.

აქაურ სცენის მოყვარეთამ მაშინვე გადასწყვიტეს ღარიბ შეგირდების სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვა და კიდეც გამართეს ეს წარმოდგენა 4 თებერვალს.

** სოფ. ხუმლაგა: (კავკავის მაზრა) ერთი საზარელი საცოდაობა დატრიალდა აქ, ხუმლაგელ ჩერყო ფიდაროვის ოჯახში: შუადღისას, სახლ-

ში არავინ იყო კაცთაგანი, დედაკაცებიც ეზოში რაღასაც საქმობდნენ, მხოლოდ ოთახში გახურებულ ბუხრის წინ, იდგა ხუთის წლის ქალი ჩერყოსი და ორი თვის ყმაწვილიც აკვანში იწვა. საბრალო ხუთის წლის პატარა ქალს მოეკიდა კალთაზედ ცეცხლი; შეშინებულმა ყმაწვილმა დაიწყო ოთახში სირბილი, ვერ მოახერხა კარების გაღება, და ამასობაში ცეცხლი მოედო ტანთ-საცმელს. ბავშმა ოთახში სირბილის დროს, გადააქცია აკვანიც. როცა დედაკაცები შემოვიდნენ ოთახში, ნახეს საზარელი სურათი: ხუთი წლის ქალი მთლად უსულოდ იყო ჩაკეცილი იატაკზედ, აკვანსაც მოჰკიდებოდა ცეცხლი და პატარა ბავშვს ფეხები დასწოდა. ხუთი წლის ბავშვი მაშინვე გარდაიცვალა, და პატარამაც მხოლოდ სამი დღე იცოცხლა.

ხუმელაგაშივე ყმაწვილ კაცებს, ხუდალოვს და გუკაევს, ყველიერში თამაშობის დროს ჩხუბი მოუვიდათ. საქმე იქამდინ მივიდა, რომ ხანჯლები იშიშვლეს, ხანჯლის მოქნევა ხუდალოვმა დაასწრო, და მარცხენა ხელის სამი თითი გააგდებინა გუკაევს. აქვე ამ თებერვლის ექვსს, ბოძი ბეროევს და კოსტანტინე ძიგოევს მოუვიდათ ჩხუბი; ძიგოევმა დასთხლიშა კეტი ბეროევს და თავის ქალა გაუხეთქა. ექიმმა სთქვა, ბეროების მორჩენა საეჭვოაო.

*** ქუთაისიდგან სწერენ გაზეთს „Кавказъ“-ს, რომ ქალაქის მოურავი, ლოლუა, ძრიელ გულ-დადებით შეუდგა ქუთაისში კონკის გამართვის საქმეს. ტფილისიდგან მოიწვია ბ. ყორღანოვი, რომელმაც დაათვალიერა ყველა ქუჩები ქუთაისში. ბ-ნმა ყორღანოვმა ურჩია ქუთაისის ქალაქის მოურავს, კონკამ ვაგზლიდამ „ტფილისის“ ქუჩაზედ გაიაროს და ამ ქუჩის ბოლოდგან ერთი ლიანდაგი ხიდისაკენ გაიმართოსო (ხონის გზისაკენ), მეორე—„ბულვარისაკენ“. ეს რჩევა ბ-ნ ყორღანოვისა ქალაქის გამგეობამ მოიწონა და წერილით სთხოვა, შეგვატყობინეთ, რამდენი დაჯდება ამ გზის გაყვანაო, და შეგიძლიანთ თუ არა, რომ თქვენ იკისროთ ამხანაგობა შეადგინოთ და კონკა გაგვიმართოთო იმ პირობით, რომ ინჟენერს ჩვენ თითონ მოვიწვევთ და გამოკვლევასაც მოვახდენთო, ხოლო ამ გამოკვლევაზე დახარჯული ფული შემდეგ ისევ ქალაქს უნდა დაუბრუნდესო.

*** გაზეთ „Нов. Время“ იუწყება, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდგან ზოგიერთ უნივერსიტეტში გაიმართება საგანგებო კურსები, სადაც ექიმობას ასწავლიან, სწავლის ვადა სამი წელიწადი იქნება. დანიშნულება ამ კურსებისა ის არის, რომ მკურნალობა ასწავლონ მსურველთ, რათა სოფლად შეეძლოთ ავადმყოფთ პირველი შემწეობა აღმოუჩინონ. კურსებზედ მიიღებენ საშუალო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ და აგრეთვე იმათაც, ვინც ეგზამენს დაიჭერს იმ საგნებში, რომელიც აღნიშნული იქნება ამ საქმისთვის საგანგებო პროგრამაში. სწავლის ფასი არავის გამოერთმევა და მხოლოდ ამ კურსებში სწავლა დამთავრებულნი მოვალენი იქნებიან რამდენსამე წელიწადს იმ ადგილს იმსახურონ, სადაც თვით სამკურნალო დეპარტამენტი გაჰგზავნის.

*** 14 თებერვალს ყრუ ქუჩაზედ, ვასილიევის სახლს, მუშაობის დროს, კედელი მოერღვა. უბედურება არა მომხდარა-რა.

*** ამავე დღეს მეტეხის აღმართში უეცრად გარდაიცვალა 85 წლის ავეტიქ იახშიბეგოვი.

---

## ტფილისის სათავად-აზნაურო სა-ადგილ-მამულო ბანკის წევრთა საგანგებო კრება

14 თებერვალს

კრება დაიწყო დილით $11\frac{1}{2}$ საათზე. თ. პ. ა. გრუზინსკიმ, ზედამხედველ კამიტეტის სახელით, გამოაცხადა, რომ მოსულ წევრთა რიცხვი საკმაოა კრების კანონიერად ცნობისათვის, ხოლო თავმჯდომარე უნდა ავირჩიოთო. ყველამ დაასახელა თავად-აზნაურთა გუბერნიის მარშალი თ. ლ. ა. მაღალაშვილი. მარშალმა უარი სთქვა უქეიფობის გამო, მაგრამ ხანგრძლივსა და საერთო თხოვნას პატივი სცა და თავმჯდომარეობა იკისრა.

თავმჯდომარემ აუწყა კრებას, რომ ბევრი რწმუნების ქაღალდია წარმოდგენილი და მათი განხილვა ზედამხედველ კამიტეტმა ვერ მოასწრო, რადგანაც ეს ქაღალდები მხოლოდ დღეს მოიტანეს. რას ინებებთ, ჯერ ეს ქაღალდები გავარჩიოთ და საქმების განხილვა გადავსდოთ, თუ კრება საქმეს შეუდგეს და ქაღალდების განხილვას ზედამხედველის კამიტეტის მიერ არ მოვუცადოთ.

თ. ნ. ორბელიანმა პასუხად სთქვა, რომ რწმუნების ქაღალდები შეიძლება მერეც განიხილოს ზედამხედველმა კამიტეტმა, რადგანაც სულ ერთია, ამ ქაღალდების მომტანთ დღეს ხმა არ ექმნებათ ბანკის წესდების ძალითო.

თ. ავალიშვილმა აუხსნა კრებას, რომ ეგ კანონი მორიგ კრებას შეეხება და არა საგანგებოს, დღეს ხმა ყველას უნდა ჰქონდეს. ქაღალდების განხილვა-კი ეხლავე შეიძლება, რადგანაც სულ თოთხმეტია წარმოდგენილი. შეიძლება ეს დავავალოთ ერთ-ერთს წევრს ზედამხედველის კამიტეტისას, რადგანაც კვლავაც ერთი წევრთაგანი სინჯავს ამისთანა ქაღალდებს და იმის მოხსენების კვალობაზედ კამიტეტი ან მიიღებს, ან უარჰყოფს. საქმეთა განხილვის გადადება საჭირო არ არის. ვიდრე ჩვენ სჯას გავათავებდეთ, კამიტეტის აზრს კიდეც შევიტყობთ.

კრებამ შეიწყნარა ეს აზრი თ. ავალიშვილისა.

თავმჯდომარე. ჯერ დავიწყოთ საქმე რკინის გზის შესახებ. როგორაც გნებავთ, გამგეობისა და ზედამხედველ კამიტეტის მოხსენება წავიკითხოთ, თუ ყველას წაკითხულიცა გაქვთ?

ამაზე სთქვეს, რომ რადგანაც ამ საქმის დამწყობი ბ-ნი მარშალია, ვგონებთ, კარგი იქმნება, თვითვე აგვიხსნას ყოველივე გარემოება.

თავმჯდომარემ მოკლედ უამბო კრებას, რითი და როგორ დაიწყო ეს საქმე და რა მნიშვნელობა ექმნება კახეთის რკინის გზას ჩვენის ქვეყნისათვის.

თ. ი. ჭავჭავაძემ განმარტა, რა შინაარსის ქაღალდი მოუვიდა გამგეობას ზედამხედველ კამიტეტისაგან ამ საქმის შესახებ და ბოლოს წაიკითხა უკვე დაბეჭდილი მოხსენება ამ საგანზე. გამგეობისა. იმ მოხსენებაში მოყვანილია, რომ ჩვენ გვთხოვენ 15 ათასს მანეთს რკინის გზის გამოსაკვლევად და მხოლოდ ის უნდა მოვიაზროთ და გარდავსწყვიტოთ, კანონით ნება გვაქვს და შეგვიძლიან ამ საქმისათვის ფული გამოვიღოთ, თუ არაო. რაც შეეხება კანონს, ჩვენს წესდებაში (89 მუხ.) პირდაპირ არის აღნიშნული, სხვა სასარგებლო და საჭირო საგანთა შორის, რომელთაც-კი ბანკს შეუძლიან თავისი საზოგადო საჭიროებისათვის გადადებული ნაწილი მოგების მოახმაროს, „გზების გაყვანა“. მაშასადამე, ამ მხრივ დამაბრკოლებელი არა არის-რა, რომ ბ-ნ მარშალის თხოვნა არ შევიწყნაროთ. საფინანსო მხარე კი ესეთია. წარსულ წლის მოგებიდგან საზოგადო საჭირო საქმისათვის გადასადები ფული შეადგენს 44,450 მანეთამდე, თუ წლიური ანგარიში დამტკიცებულ იქმნა. აქედგან აუცილებლად უნდა გამოირიცხოს 29,500 მანეთი, სათავად-აზნაურო წინამძღვარიანთ სკოლებისათვის დახარჯული; დარჩება 14,950 მან., რომელიც შესაძლოა კახეთის რკინის გზისთვის გადაიდოს, თუ იმ 12,000 მან., რომელიც შარშან ხოლერას მოვახმარეთ, ამ 1893 წლის მოგებიდგან ავინაზღაურებთ. ესეც რომ არ იყოს, 15,000 მან. შეიძლება ბანკის სხვა თავისუფალ ფულიდამ გავიღოთ იმ პირობით, რომ 1893 წლისაგან მოცემულ საზოგადო საჭიროებისათვის გადადებულ თანხამ დაუბრუნოს უკანვე. ხოლო ზედამხედველი კამიტეტი ამას არ დაეთანხმა და ხუთის ხმის უმეტესობით (თ. დ. გურამიშვილი, თ. რ. ერისთავი, თ. ვ. თუმანოვი, ა. კობიაშვილი და ტ. ჯავრიშვილი) წინააღმდეგ ოთხისა (თ. გრუზინსკი, თ. ა. ჩოლაყაშვილი, თ. ა. ანდრონიკაშვილი და თ. ლ. ჯანდიერი) გარდასწყვიტა, 15 ათასის მანეთის გადადება კახეთის რკინის გზისათვის შეუძლებელიაო.

თავმჯდომარე. მაშ ეხლა სალაპარაკო ესა გვაქვს, შეიძლება გავიღოთ 15,000 მან., თუ არა.

თ. სუმბათაშვილმა სხვათა შორის სთქვა, რომ გზა რო საჭიროა—ეს ყველამ კარგად ვიცით, მეტადრე კახეთისათვისო. ამაზედ ლაპარაკი მეტი იქნება. ხოლო ვიდრე მომავალი ბანკის მორიგი კრება არ განიხილავს წარსულის წლის ანგარიშს და არ გამოარკვევს და არ გაანაწილებს სასარგებლო საქმეთათვის გადადებულს ფულს, მე არ შემიძლიან ეხლა დავეთანხმო 15000 მან. მიცემას, იმ მოგებიდამ, რომელიც ჯერ ხელთ არა გვაქვს და არც ვიცით რამდენი გვერგებაო.

თ. დ. გურამიშვილმა გრძლად განუმარტა კრებას თავისი აზრი და სხვათა შორის სთქვა, რომ ბანკის მმართველობა ამბობს ფული გვაქვსო. პირიქით, მოხსენებიდგანა სჩანს, რომ სასარგებლო საქმეთათვის წარსულის წლის მოგებიდგან 46,000 მანეთამდეა ანგარიშითაო. ვიკითხოთ ახლა ვალი რამდენი გვმართებს? მოხსენებიდგანვე სჩანს, რომ 40 ათასამდე ვალია გარდასახდელი, ე. ი. დაგვიხარჯავს სათავად-აზნაურო და წინამძღვარიანთ სკოლებისათვის 30 ათასამდე; ხოლერაზე დახარჯული 12 ათასიც რო მივუმატოთ, შესდგება 42 ათასი, დარჩა სულ 4000 მან. და თქვენ-კი ამბობთ, 15,000 მან. მივცეთო. საიდგან, როდესაც ფული არა გვაქვს. ამბობენ, ეხლა სხვა რაიმე თანხიდამ მივცეთ და მეორე 1893 წლის საზოგადო საჭიროებისათვის გადა'ადებ ფულიდამ დავიბრუნოთო, ესე იგი, იმ მოგებიდამ, რომელიც ჯერ არ ვიცით იქნება თუ არა. ჩემის აზრითაო, ვიდრე წლის მოგება არ გამორკვეულა და ანგარიში არ დამტკიცებულა, არ შეიძლება წინდაწინვე ფულის ხარჯვა. ეს უკანონო იქნება და ჩვენის წესდების წინააღმდეგი. რა ვიცით, წლის განმავლობაში რა დაგვემართება, იქნება ბანკს იმდონი მოგება აღარა ჰქონდეს, რაც შარშან და და შარშანწინ, იქნება ისეთი საჭიროება რამე აღმოგვიჩნდეს მოულოდნელად, შარშანდელი ხოლერისა არ იყოს, რად შევიკრათ ეხლავე ხელ-ფეხი და ხახამშრალი დავრჩეთ. თუ ეგრე წინდაწინვე უვარაუდოდ მივყოფთ ხელს მოგების ხარჯვას, მაგას ხომ ბოლო არ ექმნება და საქმეს სულ ავწეწ-დავწეწავთო.

(შემდეგი იქნება)

---

## ქუთათური თეატრი

წერილი პირველი.

წინადვე ბოდიშს ვიხდი, რომ ცოტა შორიდგან ვიწყებ საუბარს. უნდა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა ჯერ თეატრის საზოგადო მნიშვნელობაზე და შემდეგ მივაქციოთ ყურადღება ქუთათურ თეატრს ყოველის მისის კერძოობით.

დავიწყოთ იმ ჭეშ არიტებით, რომელიც, თუმცა ყველამ იცის, მაგრამ ყველას და ყოველ დროს არ ახსოვს,—იმ ჭეშმარიტებით-მეთქი, რომ ადამიანს, როგორც ბუნების სრულს ქმნილებას, გარდა ხორციელის მოთხოვნილებისა, სულიერი მოთხოვნილებაცა აქვს. ეს თვისება, რომლითაც ადამიანი სხვა ქმნილებისაგან განირჩევა და ღვთაების სახეს იღებს, სულიერი მოთხოვნილებაა ადამიანისა, როგორც ჭკუა-გონების საკვებავი და საზრდო—მეცნიერებაა და ყოველ გვარი ლიტერატურა, ერთობით—ხელოვნება.

პოეზიას, ხელოვნებას, და მეცნიერებას ერთნაირად დიდი ალაგი უკავია კაცობრიობის განვითარებაში—საკუთრად ხელოვნება. რომლის მნიშვნელობაც ჩვენ გვინდა გავარკვიოთ, რადგან თეატრი ერთი დარგია ხელოვნებისა,—კაცის სიცოცხლეს აძლევს შნოს, ლაზათს, ჰფერავს სასიამოვნოდ და აფაქიზებს, ასათუთებს. ხელოვნება ადამიანთ ხასიათს ურბილებს, ურთიერთ შორის დამოკიდებულებას უადვილებს და ამ ნაირად სიცოცხლეს საამურსა და სანატრელ მიმზიდველობას აძლევს. ხუროთ-მოძღვრება, ქანდაკება, მხატვრობა, მსახიობა და სხვა ამისთანა ოსტატობა ხელოვნებაა. რაც უნდა ველური იყოს ხალხი, რაც უნდა დაბლა იდგეს ადამიანი გონების განვითარებით, ყოველთვის იპოვით ამ ნიჭს ხელოვნებისას, ამ უზენაესს მადლს: ხელოვნების ნიშან-წყალს შეამჩნევთ ან იარაღის დამშვენებაში, ან საკუთარის სახისა და ტანისამოსის შეფერადებაში. თანდათან, რასაკვირველია, ადამიანის გემოვნება იცვლება, წარმატებაში შედის, ისე როგორც მთელი მისი ჭკუა-გონება, და ბოლოს მიაღწევს იმ ხარისხამდე, როცა იგი შესძლებს უზარმაზარ და დიდებულ შენობათა აგებას, როგორც ეგვიპტეში, მიუწდომელის სიმშვენიერის ქანდაკების შექმნას, როგორც ძველ საბერძნეთში, ღვთაებრივ სურათების დახატვას, როგორნიც ძლვნეს კაცობრიობას რაფაელმა და ბევრმა სხვებმა. მაგრამ თითოეული ეს ზემო აღნიშნული დარგი ხელოვნებისა, ცოტა არ იყოს, გარეგანია და ისეთის ძლიერებით ვერ მოქმედობს ადამიანის სულსა და გულზე, როგორც თეატრი და მუსიკა.

თეატრი ხორც-შესხმულ ადამიანს დაგიყენებს თვალ-წინ, გადაგიშლის მის სულსა და გულს და ჩაგახედებს შიგ. ჰგრძნობ რომ ყველა ეს სულის მოძრაობა ადამიანისა, ეს რთული თუ მარტივი გრძნობა, რომელსაც ნიჭიერი არტისტი გიხატავს, შენშივე ყოფილა დროებით მიძინებული, ცხოვრების უფსკრულის მიმდინარეობით ჟანგ-მოდებული; მთელის შენის არსებით შეჰხარი შენს სასურველს ადამიანთ სცენაზე, ან ზიზღით და გულის-ხეთქით შესცქერი რომელსამე ცბიერის, ვერაგით და გესლით სავსე კაცის საქციელს. თეატრი აღაფრთოვანებს შენს უეწმინდეს კეთილ-შობილურ გრძნობას და დროებით მაინც გავიწყებინებს ცხოვრების სიბინძურეს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვინც თეატრში ცრემლს დაჰღვრის უმანკოსა და მართალის ადამიანის დატანჯვისა და გათახსირებისათვის, იმას გული მომბალი და გაფაქიზებული გამოჰყვება თეატრიდგან რამდენისამე ხნით მაინც.

აი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრს და ეს კარგადაც ჰქონდათ შეგნებული და ნაგრძნობი ძველ ბერძნებს, ამ მრავალის მხრივ შესანიშნავ ხალხს. მართალია, ეხლაც ბევრს ზნეობით დამაშვრალს, ან გრძნობით ზანტს კაცს გასართობად ცირკი და ბალეტი ურჩევნია, მაგრამ ეს უფრო მეტად ამტკიცებს იმ აზრს, რომ საჭიროა თეატრს შემწეობა აღმოუჩინონ და ამით შეაჩვიონ საზოგადოება რიგიან დროების გატარებას; საჭიროა, რომ ვისაც კეთილი სურს ჩვენის საზოგადოებისათვის, მხარი მისცეს თეატრის მეთაურთ და გაუადვილოს ის საქმე, რომელიც საზოგადოებას გემოვნებას განუვითარებს და მისცემს ზნე ამამაღლებელს და კეთილ-შობილურს გასართობს. ამ ნაირი დახმარება საჭიროა არა თუ ჩვენის პატარა ქალაქისათვის, არამედ დიდ ქალაქისათვისაც. ბევრი ქალაქი ვერ დაიქადებს რუსეთში, რომ მუდმივი თეატრი მაქვსო. ჩვენკი ბ-ნთ მესხისა და გამრეკელის წყალობით გვაქვს—პატარა და შნოიანი თეატრი, მაგრამ რა გაჭირვება არ გამოიარეს იმათ ამ საქმის მოწყობისა და მართვისათვის. სწორედ გასაკვირველია მათი მხნეობა ამ საქმეში. მარტოდ-მარტოებმა, შეძლების უქონლებმა სხვათა დაუხმარებლად იშოვეს დიდ-ძალი ფული ვალად და მოიყვანეს სისრულეში თავისი განზრახვა. ერთი ნაწილი ამ ვალისა კიდეც გაისტუმრეს. მაგრამ ნახევარზე მეტი მამასისხლად აღებულის ფულისა აწევთ კიდევ კისრად. საუბე-

დუროდ ჩვენში არ მოიძებნებიან ისეთი მდიდარნი და მასთან ხელოვნების მოყვარენი, როგორც სხვა მდიდარ ქვეყნებში, რომელთაც შეეძლოთ შემწეობის აღმოჩენა მათთვის.

სასურველია დიდად, რომ ერთ-ერთმა ჩვენმა საკრედიტო დაწესებულებამ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და აღმოუჩინოს დახმარება თეატრის მოთავეთა და გამგებელთ.

თუ ერთ ხანად დახმარების აღმოჩენა ძნელი და მოუხერხებელი იქნება, სესხად ფულის მიცემით მაინც გაუმართონ ხელი. ასეთი დახმარება მით უმეტეს არ უნდა იყოს ძნელი მოსახერხებელი, რომ ამ ნაირ კეთილ საქმისათვის სესხით დახმარება არ არის უცხო და ახალი ამბავი ჩვენის საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებისათვის.

კ. ბ—ძე

## ჩემი აღსარება

(სადიდ-მარხვო წერილი)

„გული წმინდა დაჰბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“.

უკეთუ იმდენად ბედნიერი ვარ, რომ „ივერიის“ მკითხველები ჩემს წერილებსაც კითხულობენ, გავკადნიერდები და გავბედავ მოვაგონო შარშანდელი ჩემი აღსარება („ივერია“ № 41) და მაშინდელი დაპირება, რათა შემდეგი ჩემი აღსარებაც საქვეყნოდ წარმომეთქვა. აი, განგებითა ღვთისათა და წყალობითა იმ გარემოებისათა, რომ შარშან არც მეშედში ვყოფილვარ და არც ბაქოში (თორემ ხომ მოგეხსენებათ, მეოხებითა ხოლერისათა ცოცხალი ვერ გადავრჩებოდი), წლევანდელ დიდ-მარხვასაც მოვესწარი, იმიტომ რომ შემოქმედს არა ნებავს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხოვნება მისი. ხოლო თქვენი უმორჩილესი მონა, რომ ცოდვისაგან დაზღვეული არ იქნება, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რადგანაც ბევრ-ნაირი საზოგადოება არსებობს, მაგალითად: სიკვდილისაგან, თუ სიცოცხლისაგან დამზღვევი საზოგადოება, ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოება, სეტყვისა და ქარისაგან დამზღვევი საზოგადოება და სხვ.; ცოდვისაგან დამზღვევი საზოგადოების დაარსება-კი ჯერ ფიქრადაც არავის მოსვლია. მე-კი ვიტყვი, რომ დაარსება ასეთის საზოგადოებისა დიდად ხელ-საყრელი და სასარგებლო იქნებოდა დამაარსებელთათვის, რადგანაც უცოდველი ქვეყანაზედ არავინ მეგულება; ხოლო ისეთები-კი, ჩემი არ იყოს, ბევრი ვიცი, რომ სიცოცხლე ჩხირადაც არ უღირდეს, დასაწველი არაფერი მოეპოვებოდეს და, მაშასადამე, ცეცხლისაც არ ეფიქრებოდეს, ნათესი არსად არაფერი გააჩნდეს და სეტყვა-ქარისაგან ისედაც უზრუნველ-ყოფილი იყოს. ცოდვა? ჰმ! ცოდვა სხვა საქმეა. „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა სდგას“-ო, ამბობს მოციქული, მახარებელი და ღვთის-მეტყველი იოანე. ხოლო თუ ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა სდგას, განა მკვიდრნი სოფლისანი უბოროტო და უცოდველ იქნებიან! არა და არა. „უკეთუ ვსთქვათ, ვითარმედ ცოდვა არა გვაქვს, თავთა თვისთა ვაცთუნებთ და ჭეშმარიტება არა არს ჩვენთანა“-ო, გვასწავებს იგივე მოციქული.

ამ ნაირად, ჩემო ბატონებო, უცოდველი დედა-მიწის ზურგზედ თუ-კი არავინ არის, ჩემი ცოდვილ-კაცობაც ნუ გაგიკვირდებათ. მე აღსარებას ჩემის ცოდვისას მაინც საქვეყნოდ ვამბობ, ხოლო სხვები (რა თქმა უნდა, ცოდვილები მყავს სახეში) საქვეყნოდ გაიძახიან: მობაძავ ჩვენდა იქმენით, რამეთუ უცოდველნი, უმანკონი და უჩირქონი ვართო... მაგრამ მე, ცოტა არ იყოს, სალაპარაკო საგანს ავსცდი. ესეც ჩემი უბედურება. „ცუდად-მეტყველობისთვის“ ცალკე სასჯელი მიმელის. ჰო, იმას მოგახსენებდით, რომ წლევანდელ დიდ-მარხვამდეც მოვაღწიემეთქი. ვაი ამისთანა მოღწევას! გავაქანე უბისკენ ხელი, ამოვიღე ცოდვა-მადლის დავთარი და ვხედავ, რომ ცოდვის ფურცლები სულ ერთიან გადაჭრელებულია. მე ცოდვილი და უბადრუკი შარშანს აქედ უფრო ურწმუნო და უსასო შევქმნილვარ; ასე გასინჯეთ, ბევრ იმაზედაც, რაც შარშან მრწამდა და მჯეროდა, გული ამცრუებია.

მაგალითად, აი რეები ამოვიკითხე ამ დავთარში:

ა) არა მწამს, ქართველებმა იმდენი შნო და უნარი გამოვიჩინოთ, რომ ჩვენთვის თავ-დადებულს და მოამაგე კაცს სიცოცხლეშივე დავსდოთ ფასი.

ბ) არა მჯერა, რომ თოფ-იარაღმა და დინამიტ ზარბაზანმა ევროპაში მშვიდობა დაამყაროს.

გ) არა მრწამს, რომ სასულიერო გაზეთმა „მწყემსმა“ უმეტეს ნაწილად სახორციელო საგნებს არ წააპოტინოს ხელი.

ე) არა მრწამს და არცა მჯერა, რომ Т. Л.-ი ოდესმე გადარბაისლდეს.

ვ) არა მჯერა, რომ Новое Время-მ ებრაელების ავად ხსენებას თავი დაანებოს.

ზ) არა მჯერა, რომ Гражданинъ-მა ღირსეული „გრაჟდანინობა“ გაუწიოს თავის მამულს, და არა მრწამს, რომ იმისი რედაქტორი ბურბუშელა თავადი მეშჩერსკი საპყრობილეში დაპატიმრებამ მოაჭკვიანოს.

ჱ) არა მჯერა, რომ ერთმა კაცმა მარტივის წლის განმავლობაში 366 დრამა, ერთი ამდენი მელოდრამა, ერთ-ნახევარი ამდენი ტრაგედია, ორი ამდენი კომედია, სამი ამდენი ფარსი და ოთხი ამდენი ვოდევილი დასწეროს და ყველა კარგი გამოდგეს, თუ გინდ ზოგი მათგანი ნათარგმნი და გადმოკეთებულიც იყოს.

თ) არა მრწამს, რომ ეხლანდელი ჩვენი ქალები დედად გამოდგნენ და ვაჟები მამად.

ი) არა მჯერა, რომ ჩვენმა საერო სკოლებმა ჩვენს ეროვნულს საუკეთესო თვისებებზედ ხელი არ აგვაღებინოს.

ია) არა მრწამს, რომ გურიაში ფირალობა მოისპოს, ქუთაისში—„დანოსის“ წერა, სამეგრელოში—ცხენის ქურდობა და გორში—ჰორიკანობა;

იბ) არა მჯერა, კახელები ისე გაძაბუნდნენ, რომ „კახური“ გასასყიდად გადაანარჩუნონ.

იგ) არა მრწამს, ქართლელებმა ისე დაჰკარგონ მამულიშვილობის გრძნობა, რომ საერო სკოლები დაიარსონ.

იდ) არა მჯერა, რომ მკურნალმა ავადმყოფი სამუდამოდ არ განკურნოს, ადვოკატმა გადუჭარბებლად ილაპარაკოს, ვაჭარმა მუშტრის მოსატყუებლად ტყუილ-უბრალოზედ არ დაიფიცოს.

იე) არა მრწამს და არცა მჯერა, რომ მარტისა და პოლიტიკის დღის დარ-ავდარში ათას ნაირი ცვლილება არ მოხდეს, სამთა კავშირმა ერთ-ერთი მოკავშირე არ მოიდნოს და ინგლისმა უკავშიროდ უფრო ბევრი არ მოიგოს...

დათიკო ვერმიცანაშვილი

## წვრილი ამბავი

წარსულ წელს ერთს გამოჩენილ და ნიჭიერ მწერალს გიუ-დე მოპასანს მეტის-მეტ ჯაფისაგან ტვინი მოეღალა და თვითონ დამბლად ჩავარდა. ამ შემთხვევის გამო „Вѣстникъ иностранной литературы“ საყურადღებო ცნობებს გვაამბობს სხვა-და-სხვა მწერლების შრომის შესახებ.

მართალია, გიუ-დე-მოპასანს ძრიელ ბევრი ნაწერები აქვს, მაგრამ სახელ-განთქმულთ: მიშლეს, დიუმას—მამასა და შვილს, ვიქტორ ჰიუგოს და სხვებს ნაკლები არ უწერიათ. მაშ რით უნდა აიხსნას ნიჭის მისუსტება და თითქმის დაშრობა? საზოგადოდ ნიჭიერ მწერლებს იშვიათად დაემართება ხოლმე ეს სენი, რადგანაც გონივრულად და გეგმიანურად აქვსთ განაწილებული დრო მუშაობისა.

აი, ალექსანდრე დიუმაზედ რას ამბობს მისი შვილი: «მამა ჩემი თავის დღეში ერთბაშად და აღტაცებით არ შეუდგებოდა ხოლმე წერას. დილით რო ადგებოდა, მიუჯდებოდა საწერ-სტოლს და სწერდა, ვიდრე საუზმეს მოართმევდნენ. საუზმეს მადიანად მიირთმევდა, სტუმრებთან ლაპარაკით შეექცეოდა და შემდეგ ისევ წერას მოჰკიდებდა ხელს. საწერ-სტოლზედ გამოულეველად იდგა სელტერის წყალი, ან წითელი ღვინო. ყავას ლიქიორს და პაპიროზს არ ეწყობოდა. ხანდისხან სადამობითაც მუშაობდა; ღამე-კი თავის დღეში არა მეცადინეობდა. ყოველთვის საკმარისად ეძინა და ამისათვის ჯან-მრთელი და ჭკუა-ფხიზელი იყო. ხან მთელ თვეს გაატარებდა ამ გვარად... და როცა დაატყობდა თავისთავს, დავიღალეო და მოვიქანცეო, მუშაობას მიატოვებდა და სხვა გვარად ერთობოდა, უფრო-კი ნადირობით და მოგზაურობით. მოგზაურობისა და ნადირობის დროს ღრმა ფიქრით თავს არ იწუხებდა, ხოლო პატარა შენიშვნებს ჩაიწერდა, თუ საყურადღებო რამეს ნახავდა. მე-კი, განაგრძობს დიუმა—ჯერ კარგა ხანს ვფიქრობ იმ საგანზედ, რაზედაც მინდა წერა, და, როდესაც კარგად მოვისაზრებ გეგმასა და შინაარსს, მხოლოდ მაშინ მოვკიდებ ხელს კალამს. მოფიქრების დროს ფიზიკური ვარჯიშობა მომწყურდება ხოლმე. ამისათვის ადრიანად ავდგები, თუ სოფელში ვარ, და შუადღემდის ვმუშაობ. მუშაობა მადას მიმატებს და ტკბილად მაძინებს. როცა არა ვვარჯიშობ, ცუდ გუნებაზედა ვარ და მოუსვენრადა მძინავს. მაინც-და-მაინც შრომა ძლიერ დამღლის ხოლმე და იძულებულ ვარ დროებით თავი მივანებო მეცადინეობას. არც მე მიყვარს ყავა და ლიქიორი, მაგრამ პაპიროზს-კი ძლიერ ვეწევი“.

საინტერესოა აგრედვე შევადაროთ მეცადინეობა ბალზაკისა და ვიქტორ-ჰიუგოსი.

ბალზაკი წერის დროს უთუოდ ანაფორას ჩაიცვამდა. ის ბერულადა სცხოვრობდა, როგორც ბენედიქტელს შეეფერებოდა. ბალზაკი უცნაურ გიგიენას გაიძაგებდა. მეცადინეობის დროს, მწერალმა ორი-სამი წელი ჩაკეტილ ოთახში უნდა გაატაროსო, სასმელად წყალი ისმაროს და საჭმელად—მხოლოდ მწვანილეულობა; საღამოს ექვს საათზედ დაწვეს და შუაღამისას ადგეს... იმუშაოს დილამდის... თქვენ ხუმრობად-კა ნუ მიიღებთ ბალზაკის სიტყვებს. მათი სიმართლე ბალზაკმა თავის ცხოვრებით დაგვიმტკიცა და ჭეშმარიტმა ასკეტმა ურიცხვი წიგნები დასწერა.

ვიქტორ ჰიუგო-კი არაფერს არ იკლებდა, არც სასმელს და არც საჭმელს, მაგრამ სამაგიეროდ გამუდმებითი მუშაობა-მეცადინეობა-კი არ შეეძლო. უმაწვილობიდგანვე ჩვეულებად ჰქონდა ადრე გაღვიძება და ადგომა. ადგომისას თავზედ ერთ ლიტრა ცივ-წყალს დაისხამდა, მიდიოდა კანტორკასთან და ფეხ-დგომით სწერდა, წერის დროს თავის დღეში არ დაჯდებოდა. ვიქტორ ჰიუგო საკვირველ ნიჭის პატრონი იყო. ყოველთვის აუჩქარებლივ, წყნარად და მშვიდად მოჰყავდა კალამი. იმას დამორჩილებული ჰქონდა თავისი გული და როდესაც მოინდომებდა, მხოლოდ მაშინ მისცემდა ნებას გულის მღელვარებას.

გამოჩენილი მიშლე დილა-ადრიან ადგებოდა—უმაწვილობაშა ოთხ საათზედ, ჭაბუკობის დროს—ხუთ საათზედ და სიბერისას—ექვს საათზედ. მალიან ღრმა და მშვიდობიანი ძილი იცოდა. თუ საჩქარო საქმე არა ჰქონდა-რა, საღამოს 9 საათზედ ზედ იძინებდა. დაწოლის დროს მოიფიქრებდა, რაც უნდა ხვალ დაეწერა.

ძილში მისი ტვინი მეხანიკურად მუშაობდა და დილით გაღვიძებისას უკვე გამორკვეული ჰქონდა წინა საღამოს აღძრული კითხვები. მიშლე მეცადინეობას ერთ ფინჯან ყავას დალევდა რძით. 11 საათზედ ისაუზმებდა ორის კვერცხით და კატლეტით; სასმელებს ახლოს არ ეკარებოდა. მიშლე ყოველ ცისმარე დღეს ექვს საათს მუშაობდა—ეს იმისი შეუცვლელი კანონი იყო. საუზმის შემდეგ არხივსა და ბიბლიოთეკებში შეივლიდა. 4 საათზედ შინ დაბრუნდებოდა და ჩაიწერავდა ახალ-ახალ ცნობებს, რომელიც მეორე დღეს გამოადგებოდა. თუმცა სუსტი აგებულობისა იყო, მაგრამ ჯან-მრთელი, რადგანაც შრომას გეგმიანურად ანაწილებდა.

როგორც ხედავთ, გამოჩენილ კაცებისათვის შრომა-მეცადინეობა ისეთივე აუცილებელი მოთხოვნილება ყოფილა, როგორც ჰაერი. ყველა ისინი ბევრსა შრომობდნენ, თითქმის გაბმით, და მაინც მალ-ღონე არ აკლდათ და დიდხანსაცა სცოცხლობდნენ. დიუმა-მამა—69 წლისა გარდაიცვალა, მიშლე—74 წ., ტიერი—80 წ., ვიქტორ ჰიუგო—82 წ. მხოლოდ ბალზაკი გარდაიცვალა შედარებით ახალგაზდა—51 წლისა.

აი, რამდენი მნიშვნელობა ჰქონია გონივრულად დროს განაწილებას მშრომელისათვის.

## დეპეშა

13 თებერვალი

**პეტერბურგი.** გაზეთ „Новость“-ის რედაქტორი ნოტოვიჩი პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ ხელმეორედ გაამართლა. ნოტოვიჩს ბრალდებოდა, ტულას ბანკს ცილი დასწამაო.

**პარიჟი.** სენატის პრეზიდენტად ფერრის არჩევის შესახებ მითქმა-მოთქმა არ შეწყვეტილა. ამბობენ, რომ ფერრის არჩევა ოპორტიუნისტების ნიშნის მოგება იქნებაო! „Se Radical“ ამბობს, რომ, თუ ფერრიმ სენატის პოლიტიკას ბრძოლის ელფერი დასდო, თავის თავს დაჰლუპავსო და თუ პირუთნეველად მიქცევა, იმის მოქთედებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებაო.

14 თებერვალი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო რუსეთში შეწირულება მოგროვდეს მიწის ძვრისაგან დაზარალებულ კუნძულ ზანტეს მცხოვრებთა სასარგებლოდ.

გუშინ პირველი კრება მოხდა იმ კომისიისა, რომელსაც საგნადა აქვს შეიმუშაოს პროექტი შესახებ იმისა, რომ მთავრობამ თვალ-ყური ადევნოს ყოველ გვარ დამზღვევ საზოგადოებას. კომისიამ გადასწყვიტა, დამზღვეველ საზოგადოებათა მოქმედება ზედამხედველობისათვის საჭიროა საგანგებო კომიტეტი დაარსდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

**ვენა.** ბოსნიის მხარეს გალიციაში, წყალ-დიდობას დიდი ზარალი მოაქვს. ვენგრის სამხრეთის მხარეს ძლიერ აზარალებს დუნაის ადიდება.

პეტერბურგის ბირჟა, 9 თებერვ.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7,_{54}$ | $7_{57}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 151 | $151^3/_4$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | $1,_{08}$ | $1,_{10}$ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 240 |
| —მეორისა | — „ | — „ | $227^3/_4$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — „ | — „ | $195^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | 102 | — „ | — „ |
| 5% | 100 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 102 | — „ | — „ |
| 5% | 100 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99^1/_4$ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. სად.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. სად.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. სად.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: სალამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევს ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

# განცხადებანი

**ფოთის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობა** აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამ წლის 14 მარტს, დილის 10 საათზედ, დანიშნულია საზოგადო კრება ფოთის სამოქალაქო გამგეობის დარბაზში.

საგანი კრებისა

1) 1892 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

2) საზოგადოების საბჭოს ოთხი დეპუტატის არჩევანი ნაცვლად იმათი, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ.

3) გამგეობის ორი დირექტორის არჩევანი ნაცვლად იმათი, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ.

4) სარევიზიო კომისიის სამი წევრის არჩევანი და მათთან სამი კანდიდატისა.

5) დამტკიცება 1893 წლის ხარჯთაღრიცხვისა.

ამასთანავე საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ იმ წევრთ, რომელთაც მინდობილი ექნებათ კენჭი, თანახმად საზოგადოების წესდების, 36 მუხლის შენიშვნისა უნდა წარმოუდგინონ გამგეობას რწმუნების ქაღალდი სამის დღით ადრე, ვიდრე საზოგადო კრება დაიწყებოდეს, ესე იგი, არა უგვიანეს 11 მარტისა. (3—2)

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

ქალაქის გამგეობა აცხადებს რა 14 თებერვალს საარჩევანო სიას, შედგენილს თანხმად 11 ივნისის 1892 წლის ქალაქის დებულებისა, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევანებისთვის მომავალ ოთხის წლისთვის 1892—1897 წწ., ამასთანავე აუწყებს ბ ნთ ამომრჩეველთ, რომ ქალ. დებულ. 36 მუხლის ძალით გამოცხადების დღიდგან, ე. ი. 1893 წლის 1 მარტიდგან, ორისთ კვირის განმავლობაში მიიღებმ ამომრჩეველთა შენიშვნები შესახებ სიების შესწორებისა და შევსებისა და ვინც უკმაყოფილო დარჩება გ მგეობის პასუხით, შეუძლიან ქალაქ. დებულ. 37 მუხლის ძალით პასუხის მიღების დღიდგან არა უგვიანეს შვიდის დღისა თავისი საჩივარი მიართვას ბ-ნ გუბერნატორს.

საბოლოოდ გასწორებული საარჩევნო სია ცალკე გამოცხადდება და შემდეგ აღარ შეიძლება მათი შეცვლა და შევსება. (3—3)

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

ტფილისის გუბერნატორის მიერ გამოგზავნილ ქაღალდიდგან 1893 წლის 10 თებერვლის თარიღით № 46, სჩანს, რომ ქალაქის საქმეთა საგუბერნიო სკრებულომ 1893 წელს 30 იანვარს დაადგინა: სთხოვოს ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის ახალ დებულების თანხმად შედგენილ საარჩევნო სიებთან ერთად წარუდგინოს გუბერნატორს ცნობანი იმ ამოთრჩეველთა შესახებ, რომელნიც ქალაქის სასარგებლოდ შევსებულს გარდასახადს (ნედოიმკას) შეიტანენ იმ დღემდე, ვიდრე გუბერნატორს წარედგინება ამომრჩეველთა სიები“.

აუწყებს რა ამას ქალაქის გამგეობა იმ ამომრჩეველთ, ვისზედაც ნედოიმკა ირიცხება, ამასთანავე დასძენს, რომ საარჩევნო სიები წარედგინება გუბერნატორს გამოცხადების შემდეგ ორის კვირის ვადაზედ, ე. ი. 1893 წლის 1 მარტს; ამიტომ ნედოიმკების შემოტანა შეიძლება გამგეობის კასსაში 28 თებერვლამდე და თვით ამ დღესაც. (3—2)

---

## აბრეშუმის თესლეულობა ძმ. პასხალიდებისა

ბრუსსაში (ოსმალეთში)

ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჭიის თესლი) ძმ. პასხალიდებისა, როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად საღია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელ თეთრს პარკს იძლევა. ისყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში, ოთხ-კუთხის ყუთებით და თითო ყუთში $7^1/_2$ მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰღირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულ ქარვასლაში, № 128, ზაქათალაში— ძმ. პასხალიდების კანტორას.

(12—5)






## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთ. I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა, პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფიასა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქ, საყმაწვილო სურათეიანი წიგნი შ. მღვიმელისაბი . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |

---

## ზეთის გამოსახდელი და საპნის ქარხნები ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა ქ. ტფილისში.

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება **ზეთები: საჭმელად:** შირბახტისა, სელისა, კანაფისა; **კანდელისა, მოდუღებული** საღებავ წამლებისთვის და ზეთები კარგის ღირსებისა. **ბოთლებით ისყიდება** შემდეგ მაღაზიებში: საქფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ჯოკანის მაღაზიებში, ალიხანოვის მაღაზიებში—გოლოვინის პროსპექტი, სახლი დოლჟანსკისა, და ვარანცოვის ძეგლთან, ვარვარლოვთან, გოლოვინის პროსპექტი სახლი ორბელიანისა, სარაჯიშვილთან, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ბაბანასოვისა, მაკაროვთან, ნიკოლოოზის ქუჩა საკუთარი სახლი, ხუდაძდოვთან, ნიკოლოოზის ქუჩა, ალექსანდრეს ეკლესიის პირდაპირ, სადაგოვთან, პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, გალადჟანცთან, პესკევიჩის ქუჩა, სახლი № 1, წერეთელთან, ველიამინოვის ქუჩა, სახლი ხოსროევისა. ყოველ გვარ ზეთის **წვრილ-წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარ საწყობებში:** თათრის მოედანზედ, ქალაქის ფლცის ფარდულში, ავლაბრის მოედანზედ ქალაქის ფარდულში და ოლგას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლში.

**ნარდად ყიდვა შეიძლება** ქარხნებში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარ სახლები. ქარხანაში და საკუთარ მაღაზიებში ისყიდება აგრეთვე **ჩენჩო** ძროხებისა და ხარების საკვებად. (10—4)

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

## „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | 5 | „ . . . | 5 „ 50 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | 4 | „ . . . | 4 „ 75 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | 3 | „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | 2 | „ . . . | 2 „ 75 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | 1 | „ . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებნი უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. გა ცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ ძოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუგაიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.

3) გორში—ევ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის საგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.